

საქართველოში ენერჯის განახლებადი წყაროების გამოყენებისა და ბანკითარების პოლიტიკა და ეკონომიკური პოლიტიკა

საქართველოს ენერჯეტიკული პოლიტიკის ზოგადი ანალიზი აღმოსავლეთის პარტნიორობის ჭრილში.

წინამდებარე სტატია მომზადებულია ვახტანგ ზარქუას მიერ ასოციაცია “კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის” (CENN) დაკვეთით ფონდ “ღია საზოგადოება – საქართველოს” მიერ დაფინანსებული პროექტის “აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მესამე თემატური ჯგუფის ინსტიტუციური განვითარების პროგრამა” ფარგლებში.

ენერჯის მიწოდება-მოხმარების სტრუქტურა საქართველოში

დასაწყისში, მოკლედ მიმოვიხილოთ, თუ როგორია ენერჯის მიწოდება-მოხმარების სტრუქტურა საქართველოში.

საქართველოში პირველადი ენერჯის სრული მიწოდება დაახლოებით 3.3 მილიონ ტონა ნავთობის ეკვივალენტს (მტნე) შეადგენს. ენერჯის მოხმარება ერთ სულზე შეადგენს დაახლოებით 0.74 ტნე წელიწადში. საქართველოში ენერჯის მიწოდების და მოხმარების მახვენებლებია:

- მოხმარებული ენერჯორესურსების დაახლოებით 70% - მდე იმპორტირებულია, რომელშიც დაახლოებით 45% - მდე არის იმპორტირებული ბუნებრივი გაზი, ხოლო დაახლოებით 25% - მდე იმპორტული ნავთობპროდუქტები;
- გამოყენებული ადგილობრივი ენერჯორესურსებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ჰიდროენერჯია (18% - მდე) და შეშა (12-20%);
- ბუნებრივი გაზის იმპორტი ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში, ამასთან, იმპორტის მოცულობა ზამთრის პერიოდში 3-4-ჯერ იზრდება ზაფხულთან შედარებით;
- განახლებად ენერჯორესურსებს (დიდი ჰიდროელექტროსადგურების გარდა) საქართველოს მთლიან ენერჯომოხმარებაში 1%-ზე ნაკლები წილი შეაქვთ.

ადგილობრივი ჰიდროელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერჯია შეადგენს ელექტროენერჯის ადგილობრივი საერთო წარმოების დაახლოებით 93%-ს.

მცირე, 13 მგვტ-მდე სიმძლავრის ელექტროსადგურების მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის წილი კი ელექტროენერჯის ჯამურ გენერაციაში დაახლოებით 3.15%-ს შეადგენს.

ენერჯის განახლებადი წყაროების პოტენციალი და მისი გამოყენების დონე საქართველოში

ზემოთ მოცემული მონაცემიდან კარგად ჩანს, რომ საქართველო ძირითადად დამოკიდებულია წიაღისეული ენერჯორესურსების იმპორტზე. ენერჯიაზე ფასების ზრდა, წიაღისეული ენერჯორესურსების გამოყენების გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება და

მიმწოდებელი (ექსპორტიორი) ქვეყნების მიერ ენერგომატარებლების პოლიტიკური მიზნებით გამოყენების შესაძლებლობა, როგორც ევროკავშირის, ისე საქართველოსთვის დღის წესრიგში მწვავედ აყენებს ადგილობრივი, უპირატესად, განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების ყოველმხრივ ხელშეწყობის საკითხს. ცნობილია, რომ საქართველო მდიდარია ისეთი განახლებადი ენერგეტიკული რესურსებით, როგორცაა, ჰიდროენერგეტიკული, ქარის, მზის, ბიომასის, გეოთერმული წყლების ბუნებრივი რესურსები. საინტერესოა, კონკრეტულად როგორია განახლებადი ენერგორესურსების პოტენციალი და მისი გამოყენების შესაძლებლობები საქართველოში?

ბუნებრივ ენერგეტიკულ რესურსებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს მდინაარეებს. ჰიდროენერგეტიკული რესურსების ხვედრითი მაჩვენებლებით საქართველო ერთ-ერთი მოწინავეა ევროპაში და მსოფლიოშიც კი.

ენერგეტიკის სამინისტროს მონაცემებით საქართველოს 26 ათასზე მეტი რაოდენობის მდინარიდან ენერგეტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა 300-მდე მდინარე, რომელთა წლიური ჯამური პოტენციური სიმძლავრე 15 ათასი მეგავატის, ხოლო საშუალო წლიური ენერჯია კი - 50 მლრდ კვტ საათის ექვივალენტურია. შედარებისთვის, 2010 წლის მონაცემებით, თბური და ჰიდროელექტროსადგურების ჯამური საპროექტო სიმძლავრე შეადგენს 3 274 მგვტ-ს, ხოლო ჯამურმა წლიურმა გამოიმუშავებამ აღნიშნული წლისათვის 10 მლრდ კვტ სთ-ს გადააჭარბა.

მიუხედავად საქართველოს დიდი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალისა, განახლებად წყაროებში მოიაზრება მხოლოდ მცირე ჰიდროენერგეტიკული რესურსები, რომელთა ათვისებაც შესაძლებელია 13 მგვტ-მდე სიმძლავრის ჰესებით.

სპეციალისტების დათვლით მცირე ჰიდროენერგეტიკული რესურსების ეკონომიკურად მიზანშეწონილი პოტენციალი შეადგენს 4-5 მლრდ. კვტ. საათს. ამ პოტენციალის მხოლოდ (8-6) %-ია ათვისებული.

ქარის ენერჯიის ეკონომიკური პოტენციალი საქართველოში შეადგენს 1.5 მლრდ. კვტ. სთ-ს, რომელიც საერთოდ აუთვისებელია.

მზის ენერჯიის ეკონომიკური პოტენციალი კი შეადგენს 60 – 120 კვტ.სთ/კვ.მ დღეში. სხვა მონაცემებით, საქართველოში მზის ენერჯიის გამოყენების მიღწევადი პოტენციალი შეადგენს 6.5-13 ათასი ტნე-ს წელიწადში.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან მზის ენერჯიას საქართველოში იყენებენ საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყლის გაცხელებისთვის და სასათბურე მეურნეობებში გათბობისთვის. საქართველოში პრაქტიკულად არ გამოიყენება **მზის გარდამქმნელები** ელექტროენერჯიის წარმოებისთვის, მცირე გამონაკლისების გარდა. მზის გარდამქმნელების გამოყენება, მაღალი ხვედრითი ღირებულების გამო მიზანშეწონილია მხოლოდ ძნელად მისასვლელ მაღალ მთიან და მცირედ დასახლებულ ადგილებში, სადაც არ არის ელექტროენერჯიით მომარაგების მომსახურება. უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს მონაცემები მზის ენერჯიის საქართველოში გამოყენების დონის თაობაზე, რაც არ იძლევა სრულფასოვანი შეფასებისა და დაგეგმვის საშუალებას.

ხე-ტყის გარდა, **ბიომასის** (მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების, მეცხოველეობის და მეფრინველეობის ნარჩენების, თბილისსა და ქუთაისში საყოფაცხოვრებო ნარჩენების) ეკონომიკურად მიზანშეწონილი პოტენციალი შეადგენს 2.5 მლრდ. კვტ. სთ-ს, რომელიც ჩვენთან ასევე საერთოდ არ გამოიყენება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ცალკეული

სპეციალისტების ენთუზიაზმისა და საქრთველის დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერის საფუძველზე 1994-2007 წწ. შექმნილ მცირე სიმძლავრის 400-ზე მეტ ბიოდანადგარს, რომელიც მეცხოველეობის ნარჩენებიდან აწარმოებს ბიოგაზს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მათგან ბევრის ფუნქციონირება შეწყვეტილია შესაბამისი მასტიმულირებელი ფაქტორების ქვეყანაში არარსებობის გამო.

რაც შეეხება **ხე-ტყეს**, მოსახლეობა ძირითადად ამ რესურსს იყენებს და გადაჭარბებითაც. ხე-ტყის ჭრის წლიური ნორმის შესაბამისი პოტენციური მხოლოდ 13 მლრდ. კვტ სთ-ის შესაბამისია. საქართველოში კი, რამოდენიმე წლის წინანდელი მონაცემებით, გამოყენებაში იყო აღნიშნული რესურსის თითქმის 9-ჯერ მეტი ოდენობა, 12 მლრდ. კვტ სთ-ის ექვივალენტი ხე-ტყე. ხე-ტყის ასეთი გამოყენების შენარჩუნება კატასტროფის მომასწავებელია. მართალია, სატყეო მეურნეობაში განხორციელებულმა რეფორმამ, აგრეთვე, ქვეყანაში განხორციელებულმა გაზიფიკაციამ საგრძნობლად შეამსუბუქა ვითარება, მაგრამ იმდენად დიდია მოსახლეობის ხე-ტყეზე დამოკიდებულება, რომ აღნიშნული ღონისძიებები არ არის საკმარისი ხე-ტყის რაციონალური მოხმარებისთვის. აუცილებელია, რომ სხვა ღონისძიებებთან ერთად განხორციელდეს განახლებადი ენერგორესურსების სხვადასხვა სახის ეკონომიკურად მიზანშეწონილი ნაწილის მაქსიმალურად გამოყენება.

გეოთერმული წყლების ეკონომიკური პოტენციალია 0.5 მლრდ. კვტ.სთ, საიდანაც გამოყენებულია 0.03 მლრ.კვტ.სთ-ის შესაბამისი რესურსი, რაც ეკონომიკური პოტენციალის მხოლოდ 6%-ს შეადგენს.

თბილისში გეოთერმული წყლებით მარაგდება რამდენიმე უბნის საცხოვრებელი სახლები, დაწესებულებები და აბანოები.

საქართველოს თერმული წყლის რესურსების 80%-ზე მეტი თავმოყრილია დასავლეთ საქართველოში. მათგან მხოლოდ მცირე ნაწილი გამოიყენება, ისიც, ძირითადად, სამკურნალო დანიშნულებით.

გეოთერმული წყლები მომავალში შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული გათბობისა და ცხელწყალმომარაგებისთვის.

ექსპერტების აზრით, ჯამში საქართველოში ენერჯის განახლებადი წყაროების (ეგწ-ების) **მიღწევადი პოტენციალი** შეადგენს დაახლოებით 10-15 ტვტსთ-ის (მლრდ.კვტ.სთ-ის) ან 0.9-1.3 მილიონი ტონა ნავთობის ექვივალენტს (მტნე) წელიწადში, რაც მთლიანი პირველადი ენერჯის მიწოდების მხოლოდ 25-30%-ს შეადგენს. ეგწ-ების ეკონომიკური პოტენციალის სისწორე ეჭვს ბადებს ქვემოთ მოცემული გარემოებების გამო.

ევროკავშირი 2020 წლისთვის აპირებს ენერჯიაზე მთლიანი მოთხოვნილების 20 % დაიკმაყოფილოს ეგწ-ებიდან. ევროკავშირისთვის ეს მაჩვენებელი არ წარმოადგენს საბოლოო ნიშნულს. ევროკავშირის პოლიტიკა მიმართულია მთლიან ენერგომომხმარებაში ენერჯის განახლებადი წყაროების წილის შემდგომი ზრდისკენ და წიაღისეული რესურსების განახლებადი ენერგორესურსებით მაქსიმალურად ჩანაცვლებისკენ. ბუნებრივია, შეიძლება დაიბადოს კითხვა: თუ საქართველო მდიდარია განახლებადი, განსაკუთრებით, ჰიდროენერგეტიკული რესურსებით, და მისი პოლიტიკა მიმართულია ეგწ-ების გამოყენების უპირატესი ხელშეწყობისა და საბოლოო ჯამში, ენერჯიაზე მთლიანი მოთხოვნილების მაქსიმალურად განახლებადი ენერგორესურსებით დაკმაყოფილებისკენ,

მაშინ ის როგორ აპირებს მომავალში დაიკმაყოფილოს ენერჯიაზე მზარდი მოთხოვნა უპირატესად განახლებადი წყაროებიდან, როცა ეგწ-ების ეკონომიკურად მიზანშეწონილი მთლიანი პოტენციალი პირველად ენერჯიაზე დღევანდელი მოთხოვნილების დაიკმაყოფილებისთვისაც კი არ არის საკმარისი? ეგწ-ის პოტენციალის შესახებ ექსპერტების მიერ შეფასებული შემოსენებული მაჩვენებლები საეჭვოა იმ თვალსაზრისითაც, რომ არსებობს ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავებული მონაცემები.

რა უნდა მივიჩნიოთ ენერჯიის განახლებად წყაროდ?

რა თქმა უნდა, საქართველოს გააჩნია ეგწ-ების დეკლარირებულზე გაცილებით დიდი ეკონომიკური პოტენციალი. უბრალოდ, განახლებადი ენერგორესურსების ეკონომიკური პოტენციალის რეალურზე დაბალი მაჩვენებელი ეგწ-ების არასწორად დამკვიდრებული განმარტებისა და გარემოზე ზემოქმედების მოქმედი, არასრულფასოვანი სისტემის გათვალისწინებითაა მიღებული.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობით მოცემული არ არის ენერჯიის განახლებადი წყაროების ცნების განმარტება. ეს საკმაოდ უხერხულ ვითარებას ქმნის და ხელს არ უწყობს ეგწ გამოყენების განვითარებას.

საქართველოს კანონმდებლობით ეგწ-ებში შეიძლება ვიგულისხმოთ:

- ჰიდროელექტროსადგურები 13 მგვტ-მდე სიმძლავრით;
- ქარის, მზისა და გეოთერმული ენერგორესურსები შესაბამისი სადგურების ყოველგვარი, მათ შორის, სიმძლავრის მიხედვით შეზღუდვის გარეშე;
- ბიომასის მხოლოდ ის მოცულობა, რომელიც შეიძლება ბუნებრივად აღდგეს (მაგალითად, გაჩეხილი ან დამწვარი ხე-ტყის ის რაოდენობა, რომელიც სანიტარულ ნორმებს აღემატება განახლებად ენერგორესურსად ვეღარ ჩაითვლება).

საქართველოში დღეს დამკვიდრებული შეხედულების შესაბამისად, განახლებადია ენერჯიის წყარო, თუ ის არის ბუნებაში მუდმივად არსებულ ან პერიოდულად შევსებად ენერჯიის ნაკადებზე დაფუძნებული, ადამიანის მიერ მისი გამოყენება არ ამცირებს განსახილველი წყაროს პოტენციალს და გარემოზე არ ახდენს მნიშვნელოვან ნეგატიურ ზემოქმედებას.

ამჟამინდელი მდგომარეობით, დიდი ჰიდროელექტროსადგურები ენერჯიის განახლებად წყაროებში არ მოიაზრება, რადგანაც ისინი მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ გარემოზე. ყოველთვის მართებულია თუ არა ეს მოსაზრება?

13 მგვტ-ზე გაცილებით მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი შეიძლება განხორციელდეს ნაკლებად მგრძობიარე გარემოში და შესაბამისად, გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება უმნიშვნელო იყოს. ამ შემთხვევაში, რატომ არ უნდა მივიჩნიოთ აღნიშნული ჰესი ენერჯიის განახლებად წყაროდ? ასევე, თუ 13 მგვტ-ზე გაცილებით მეტი სიმძლავრის ქარის ან მზის ელექტროსადგურების ფერმა მეტად მგრძობიარე გარემოზე ახდენს სერიოზულ ნეგატიურ ზემოქმედებას, რატომ უნდა მივიჩნიოთ ის ენერჯიის განახლებად წყაროდ?

მაშასადამე, ამა თუ იმ ენერგეტიკული ობიექტის ენერჯიის განახლებად წყაროდ აღიარება რეალურად დამოკიდებულია არა მის სიმძლავრეზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ის გარემოზე. თუ განახლებად ენერგორესურსზე

მომუშავე ელექტროსადგური დასაშვებზე მეტ ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს გარემოზე, მაშინ ასეთი სადგური არ უნდა აშენდეს. აქედან გამომდინარე, უმთავრესი ამოცანაა, შეექმნათ გარემოზე ზემოქმედების შეფასების სრულფასოვანი სისტემა, რომელიც გამორიცხავს გარემოზე დაუშვებელი ნეგატიური ზემოქმედების მქონე ელექტროსადგურების აშენებას, და არა ის, რომ ნაკლებად მგრძობიარე გარემოში ასაშენებელი მძლავრი ჰესები გავმიჯნოთ ენერჯის განახლებადი წყაროებისგან. ენერჯის განახლებადი წყაროებისგან მძლავრი ჰესების, ნებისმიერ შემთხვევაში, უაპელაციო გამიჯვნა, ნებით თუ უნებლიედ, მაღავეს, ჩრდილში აყენებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების არსებული არასრულფასოვანი სისტემის პრობლემას. ის ხელს უწყობს შემდეგი არასწორი მოსაზრების დამკვიდრებას: “მართალია, მცირე ჰიდროენერჯორესურსების, როგორც ენერჯის განახლებადი წყაროების განვითარება გარემოს დაცვის კუთხით საყურადღებოა, მაგრამ მცირე ჰიდროენერჯექციის დაბალი პოტენციალისა და რენტაბელობის გამო იძულებული ვართ დიდი პოტენციალის მქონე, უფრო რენტაბელური, მძლავრი, მარეგულერებელ წყალსაცავებიანი ჰესები, როგორც ენერჯის ტრადიციული, არაგანახლებადი წყაროები ავაშენოთ, რათა უზრუნველვყოთ ბაზრის შიდა და გარე მოთხოვნები”.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, აუცილებელია, ხელახლა და საფუძვლიანად იქნას შესწავლილი ეგწ-ების პოტენციალი თითოეული სახეობისთვის იმის გათვალისწინებით, რომ ენერჯის წყაროს “განახლებადობა” უკვე დამოკიდებული იყოს არა წყაროს სიმძლავრეზე, არამედ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების დონეზე, რომელიც დადგინდება გარემოზე ზემოქმედების თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებითა და შეფასების სრულყოფილი სისტემის გამოყენებით.

როგორია საქართველოს მიმდინარე ენერჯეტიკული პოლიტიკა ეგწ-ების გამოყენების სფეროში?

პოზიტიურად შეიძლება მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ სახელმწიფოს მიერ აღიარებულია ეგწ-ების განვითარების ხელშეწყობის კურსი. მაგალითად, კანონში “ელექტროენერჯექციისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” და “საქართველოს ენერჯეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში”, არის ეგწ-ების განვითარების ხელშეწყობის სამართლებრივი გარემოს ჩამოყალიბების მცდელობა, რაც მისასაღებელია. თუმცა, არსებული კანონმდებლობა ძალზე შორსაა ენერჯის განახლებადი წყაროების რეალური ხელშეწყობის პოლიტიკისგან. ამ სტატიაზე მუშაობისას, ევროკავშირის ენერჯეტიკული პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და ინსტრუმენტების გათვალისწინებით, გამოვლინდა 30-მდე მთავარი, თვალშისაცემი და საქართველოს ენერჯეტიკული პოლიტიკის განმსაზღვრელი პრობლემა. შეგვიძლია, მათ შორის გამოვყოთ მსხვილი საკითხები, რომლებიც განაპირობებენ მიმდინარე ენერჯეტიკული პოლიტიკის დანარჩენ პრობლემებს. ესენია:

- ენერჯის განახლებადი წყაროს ცნების მკაფიო სამართლებრივი განმარტებისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების სრულყოფილი სისტემის არარსებობა;
- ეგწ-ების გამოყენების შესახებ კანონის არარსებობა;
- ეგწ-ების განვითარების სტრატეგიის არარსებობა;

- ეგწ-ების გამოყენების განვითარებისთვის სამთავრობო სტრუქტურული ერთეულის არარსებობა;
- კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი ეფექტური საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ინსტრუმენტების არარსებობა, მონოპოლიური ფასებისა და სხვა პირობებისაგან მომხმარებლის დაცვის უკიდურესად დაბალი დონე;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოქმედი, დაუხვეწავი სისტემის და ეგწ-ების განვითარების ხელშემწყობი თანამედროვე, ეფექტური პოლიტიკის არარსებობის პირობებში “დერეგულირების” და “ტრადიციული და ენერჯის ალტერნატიული წყაროების გამოყენების თანაბარ პირობებში მოქცევის” პოლიტიკის არაგონივრულობა;
- ენერგეტიკული ობიექტების დაგეგმარება-მშენებლობისთვის საქართველოში მოქმედი ტექნიკური სტანდარტების ევროკავშირის ქვეყნების ტექნიკურ სტანდარტებთან შეუსაბამობა;
- ეგწ-ების მიერ გამოიმუშავებულ ენერჯიაზე რენტაბელურობისა და ნორმალური განვითარების უზრუნველყოფი სტაბილური სატარიფო სისტემის არარსებობა;
- მცირე ელექტროსადგურების ქსელზე მიერთების პროცედურებისა და ფასების დადგენის მეთოდოლოგიის არარსებობა;
- მცირე სადგურებისთვის შიდა და გარე ბაზრებზე პირდაპირი მომხმარებლების ხელმიუწვდომლობა, ასევე, ძირითადად, ზაფხულის ჭარბი ელექტროენერჯის **ხელსაყრელი პირობებით** გაყიდვის ან გაცვლის სტაბილური საბაზრო მექანიზმების არარსებობა;
- ეგწ-ების პროექტების დაფინანსების (დაკრედიტების) ხელშემწყობი სპეციალური სქემების არარსებობა;
- საგადასახადო კანონმდებლობის, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტის გამოყენებლობა ეგწ-ების განვითარების ხელშემწყობის მიზნით;
- მმართველობის ადგილობრივი ორგანოების არასაკმარისი უფლობამოსილებები და მათი დაინტერესების ეფექტური მექანიზმების არარსებობა ეგწ-ების ხელშემწყობის მიმართულებით;
- ერთი სამართლებრივი ურთიერთობით განსაზღვრული ვალდებულების, მაგალითად, წყლის ან დასუფთავების გადასახადის გადახდის ვალდებულების, სხვა, მაგალითად, ელექტროენერჯით მომარაგების მომსახურების სამართლებრივი ურთიერთობით დარეგულირება (ვალდებულებითი სამართლის ფუძემდებლური პრინციპების უხეში დარღვევა). ამ წესით, დასუფთავებისა და წყლის გადასახადების გადაუხდელობის შემთხვევაში, მომხმარებელს უწყდება ელექტროენერჯით მომარაგების მომსახურება (!);
- მოსახლეობის სოციალური მოტივაციით ელექტროენერჯის სამომხმარებლო, ე.წ. “ბიჯური” ტარიფების დადგენა (ბიზნესისთვის სოციალური ტვირთის აკიდება და/ან უკანონო გარიგება ბიზნესკომპანიებსა და ხელისუფლების ორგანოებს შორის), რაც მიუღებელია ლიბერალური საბაზრო ეკონომიკისთვის;
- ენერჯის ტარიფების დიფერენცირების დაშვება არა მხოლოდ დანახარჯების, არამედ მომხმარებელთა კატეგორიის მიხედვითაც (სხვადასხვა კატეგორიის მომხმარებლებისთვის სხვადასხვა ტარიფების დაწესების დაშვება ენერგოკომპანიის

ერთი და იგივე დანახარჯების არსებობის შემთხვევაში), რაც ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან ნაკლებად თავსებადია;

- ეგწ-ების განვითარების მხარდამჭერი საერთაშორისო ინსტიტუციებისა და პროგრამების შესაძლებლობების, სხვა საერთაშორისო რესურსების არასაკმარისად გამოყენება;
- არასაკმარისი საინფორმაციო, საკონსულტაციო და საგანმანათლებლო უზრუნველყოფა;
- ნარჩენების ენერგეტიკული მიზნით გამოყენებისთვის დახარისხება—გადამუშავების სისტემის არარსებობა.

ბუნებრივია, რომ ეგწ-ების სწორი პოლიტიკის შემუშავებისა და ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის აუცილებელია ზემოხსენებული პრობლემების გადაწყვეტა. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტისას კი სასურველია, გათვალისწინებულ იქნას შემდეგი რეკომენდაციები:

- ეგწ-ების განვითარების საკანონმდებლო ინიციატივებს ესაჭიროება განხორციელების მექანიზმების დამუშავება, იმისათვის, რომ კონკრეტული დადებითი შედეგები დადგეს. ეგწ-ების განვითარებისათვის აუცილებელი ნორმატიული და ქვენორმატიული აქტების სისტემის და მეთოდების ჩამოყალიბება (მაგალითად, ელექტროენერჯის გატარებისა და გენერაციის გრძელვადიანი შესასყიდი ტარიფების, ქსელზე მიერთების პროცედურებისა და გადასახადების, მიწათსარგებლობის წესების და სხვათა განსაზღვრა-დადგენა) გამჭვირვალე და სტაბილურ გარემოს შექმნის და კანონის ზოგადი პრინციპების განხორციელების მექანიზმებს განსაზღვრავს;
- სახელმწიფოს აღებული აქვს ეკონომიკის ლიბერალიზაციის კურსი. აქედან გამომდინარე, უპრიანია, რომ ეგწ-ების გამოყენების განვითარებისთვის ხელშეწყობის ისეთი ინსტრუმენტები იქნას გამოყენებული, რომლებიც გაითვალისწინებენ ლიბერალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. მაგალითად, ეგწ-ებისთვის საგადასახადო შედავათების შემოღება ან გრძელვადიანი, ფიქსირებული ტარიფებით ეგწ-ებიდან ენერჯის სავალდებულო შესყიდვის დაწესება ბაზარზე მოთამაშეებისთვის არათანაბარ საბაზრო პირობებს ქმნის და მათი გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებთან თავსებადი პოლიტიკის სხვა ინსტრუმენტები საკმარისი არ აღმოჩნდა ეგწ-ის სტიმულირებისთვის.
- დასაბუთებული ეგწ-ების პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია დამატებითი კვლევითი სამუშაოების ჩატარება იმ სფეროებში, რომლებშიც არ გვაქვს საკმარისი და დამაჯერებელი ინფორმაცია სრულფასოვანი შეფასებებისა და საბოლოო, კონკრეტული რეკომენდაციებისთვის.

დასკვნა

ევროკავშირი თავის პოლიტიკას ენერგეტიკასა და გარემოს დაცვაში განსაზღვრავს დაახლოებით 160 დირექტივითა და რეგულაციით. ევროკავშირის თითოეულ ქვეყანას ცალკე გააჩნია საკუთარი კანონმდებლობა, რომელიც ეროვნული მთავრობების მიერ მუდმივად წესრიგდება ევროკავშირის ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. საქართველოში კი ენერგეტიკის სფეროსა და გარემოს დაცვაში მოქმედებს ხელის

თითებზე ჩამოსათვლელი რამდენიმე, თანაც დაუსვეწავი კანონი. ეს მიანიშნებს საქართველოს მკვეთრ ჩამორჩენაზე საკანონმდებლო მიმართულებით.

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა არ ეფუძნება გარემოს დაცვის სფეროში თანამედროვე მოთხოვნებს, არასაკმარისად ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინტერესებს: საქართველოს მთავრობის დღევანდელი პოლიტიკა ძირითადად მიმართულია ჰიდროენერგორესურსებიდან ელექტროენერჯის საექსპორტოდ წარმოების განვითარებისკენ, გარემოს დაცვის თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შესაბამისი მოთხოვნების არარსებობის პირობებში. ნედლეულის ექსპორტზე ორიენტაცია და არა საკუთარი წარმოებების განსავითარებლად მისი გამოყენება დაბალი განვითარების (განვითარებადი) ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა და ასეთ პოლიტიკას არაფერი აქვს საერთო ევროკავშირის თანამედროვე პოლიტიკასთან. საქართველოს ეკონომიკური, ენერგეტიკული, სოციალური, კულტურული განვითარებისთვის გაცილებით მომგებიანი და მნიშვნელოვანია არა ელექტროენერჯის, როგორც ნედლეულის, ძირითადად ექსპორტზე ორიენტაცია, არამედ, უპირველესად, მცირე და საშუალო ენერგოტევადი საწარმოების განვითარებისთვის ხელშეწყობა, რომლებიც განაპირობებენ ეგწ-ებზე მოთხოვნილების გაზრდას, შესაბამისად, ეგწ-ების გამოყენების განვითარებას, მოსახლეობის დასაქმებასა და მეტ სოციალურ კეთილდღეობას, აგრეთვე, კულტურული განვითარებისთვისაც ხელშეწყობას.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში ენერჯის განახლებადი წყაროების ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია საფუძვლიანი საკანონმდებლო ცვლილებების გატარება და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის, მაგალითად, ეგწ-ების გამოყენების განვითარების სახელმწიფო სააგენტოს შექმნა, რომელსაც ექნება ეგწ-ების განვითარების ვალდებულება, კონკრეტული ორიენტირები და მათი მიღწევისათვის საკმარისი ბერკეტები.

ეგწ-ების განვითარების კონკრეტული ინიციატივები გააზრებული უნდა იყოს ამ დარგში სახელმწიფო სტრატეგიის და ენერგეტიკული სექტორის განვითარების ერთიანი გეგმის ფარგლებში, რომელიც, თავის მხრივ, აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს ევროპულ საბაზრო ეკონომიკისა და გამჭვირვალობის აღიარებულ პრინციპებს, პასუხობდეს ქვეყნის ოპტიმალური და მდგრადი განვითარების ინტერესებს.

ვახტანგ ზარქუა
დეკემბერი, 2011

გამოყენებული ლიტერატურა:

- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო: www.minenergy.gov.ge;
- ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი (ესკო), www.esco.ge ;
- საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია: <http://www.gnerc.org/>
- კარინე მიქელაძე, “მსოფლიო გამოცდილება განახლებადი ენერგორესურსების ათვისების პოლიტიკაში”, იანვარი, 2008, ორგანიზაცია “მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის”, www.weg.ge
- “ენერჯის განახლებადი წყაროების პოტენციალი საქართველოში და მისი ათვისების ღონისძიებები”, თებერვალი, 2008 “ვინროკ ჯორჯია” და “მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის”, www.weg.ge

- ლიანა ჯერვალიძე, “საქართველოს გაწვევრიანება ენერგეტიკულ გაერთიანებაში, პრობლემები და პერსპექტივები”, 2011, ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, www.mikeladzefoundation.org
- თ. მარსაგიშივილი, „საინოვაციო პროცესები ენერგოუსაფრთხოებასა და გარემოს მართვაში: ხედვა დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან“, ასოციაცია “ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის”, www.inovdev.ge
- მ. მარგველაშვილი, გ. მუხიგულიშვილი, “ენერგეტიკული უსაფრთხოება – ხედვა საქართველოდან”, www.weg.ge
- ევროკავშირის ენერგეტიკული პორტალი: www.inogate.org
- ევროკომისიის ვებსაიტი: www.ec.europa.eu/policies/energy_natural_resources_en.htm
- ვახტანგ ზარქუა, “ხელისუფლების ხარვეზები ელექტროენერგეტიკულ სექტორში” ენერგოეფექტურობის ფონდი, ჟურნალი “ენერგეტიკის რეგულირების მაცნე”, მე-7 ნომერი, 2005წ, www.ern.org.ge
- ენერგოეფექტურობის ცენტრი: www.eecgeo.org/
- ენერგეტიკული გაერთიანება /თანამეგობრობა www.energy-community.org
- ვინროკ ჯორჯია ინტერნეიშენალი: <http://winrock.ge/>

<<<<>>>>

კვლევა მხარდაჭერილია ფორნდის „ღია საზოგადოება საქართველო“ მიერ